საქართველოს
სახალხო დამცველი
PUBLIC DEFENDER (OMBUDSMAN)
OF GEORGIA

დავით აღმაშენებლის გამზირი **N80**
0102 თბილისი, საქართველო
ცხელი ხაზი:**1481(24/7)**
www.ombudsman.ge
ელ-ფოსტა: **info@ombudsman.ge**

07 ოქტომბერი 2024 წ.

KA000055071890224

№ **2024/5216**

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის

მოსამართლე ნინო ბუაჩიძეს

შპს ,,საინფორმაციო ცენტრების ქსელის“ სარჩელთან დაკავშირებით

სასამართლოს მეგობრის (Amicus Curiae) მოსაზრება

წარმოდგენილია „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-12 მუხლისა და 21-ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტის შესაბამისად

სასამართლოს მეგობრის მოსაზრებით მომართვის უფლებამოსილება

საქართველოს კონსტიტუციის თანახმად, საქართველოს ტერიტორიაზე ადამიანის უფლებების დაცვას ზედამხედველობს საქართველოს სახალხო დამცველი. „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-12 მუხლის თანახმად, საქართველოს სახალხო დამცველი დამოუკიდებლად ამოწმებს ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობას, ასევე მათი დარღვევის ფაქტებს როგორც მიღებული განცხადებისა და საჩივრის საფუძველზე, ისე საკუთარი ინიციატივით. ამავე კანონის 21-ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტის შესაბამისად, საქართველოს სახალხო დამცველი უფლებამოსილია, შემოწმების შედეგების მიხედვით, ცალკეულ შემთხვევებში შეასრულოს სასამართლოს მეგობრის (Amicus Curiae) ფუნქცია საერთო სასამართლოებსა და საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოში.

სასამართლოს მეგობრის მოსაზრება მიზნად არ ისახავს რომელიმე მხარის პოზიციის მხარდაჭერას და მხოლოდ ახდენს იმ სტანდარტების იდენტიფიცირებას, რომელიც დადგენილია ადგილობრივი და საერთაშორისო ინსტიტუტების მიერ და კავშირშია სადავო საკითხთან. სასამართლოს მეგობრის ინსტიტუტის გამოყენება საშუალებას აძლევს სახალხო დამცველს, სასამართლოს მიაწოდოს ნორმატიული ან ფაქტობრივი სახის ინფორმაცია, რომლებიც ადამიანის უფლებებთან უშუალოდ არის დაკავშირებული, რაც ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ბერკეტია ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დარღვევის ფაქტების გამოვლენისა და დარღვეული უფლებების აღდგენის ხელშეწყობის პროცესში.

წინამდებარე სასამართლო მეგობრის მოსაზრების მიზანს წარმოადგენს საქართველოს კონსტიტუციის 29-ე მუხლის პირველი პუნქტის მეორე წინადადებით (ყველას აქვს უფლება დროულად მიიღოს სრული ინფორმაცია გარემოს დაცვის მდგომარეობის შესახებ) განსაზღვრული გარემოს შესახებ ინფორმაციის ხელმისაწვდომობის მნიშვნელობასთან დაკავშირებით დამატებითი ინფორმაციის მოწოდება.

ფაქტობრივი გარემოებები:

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიამ (მოსამართლე ნინო ბუაჩიძე) 2023 წლის 3 აპრილს განჩინებით წარმოებაში მიიღო შპს „საინფორმაციო ცენტრების ქსელის“ სარჩელი (საქმე N3/1309-23) მოპასუხეების: საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სსდ გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურისა და საქართველოს გენერალური პროკურატურის მიმართ, შემდეგი სასარჩელო მოთხოვნით:

„1.ბათილად იქნეს ცნობილი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის უფროსის 2023 წლის 10 იანვრის DES 4 23 00000009 ბრძანება ადმინისტრაციული საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ;

2. ბათილად იქნეს ცნობილი საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის 2023 წლის 26 იანვრის №976-15-02-2-20301261133 უარი საჯარო ინფორმაციის გაცემაზე;

3. ბათილად იქნეს ცნობილი საქართველოს გენერალური პროკურატურის 2023 წლის 14 თებერვლის №13/9909 უარი საჯარო ინფორმაციის გაცემაზე;

4. სსდ გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტს დაევალოს შპს „საინფორმაციო ცენტრების ქსელის“ მიერ 2022 წლის 17 ოქტომბრის №332 განცხადებით მოთხოვნილი საჯარო ინფორმაციის გადაცემა:

4.1 2015 წლიდან განცხადების წარდგენამდე პერიოდში ჭიათურის მუნიციპალიტეტში (ქალაქსა და სოფლებში) ატმოსფერული ჰაერის, წყლის, მიწის/ნიადაგის დაბინძურებასთან დაკავშირებით დეპარტამენტში დაცული მასალები (ყველა შემთხვევაზე, საქმისწარმოების მასალები სრულად);

4.2.2015 წლიდან განცხადების წარდგენამდე პერიოდში მანგანუმის მოპოვების/გამდიდრების/ დამუშავების/ გადაზიდვის საწარმოების, ობიექტების ან/და საშუალებების ინსპექტირების მასალები (ყველა შემთხვევაზე, საქმისწარმოების მასალები სრულად);

4.3. 2015 წლიდან განცხადების წარდგენამდე პერიოდში მოსახლეობისგან ან სხვა ფიზიკური/იურიდიული პირებისგან გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტში ჭიათურის მუნიციპალიტეტიდან/ ჭიათურის მუნიციპალიტეტის შესახებ შემოსული წერილები/შეტყობინებები/საჩივრები;

5.საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურს დაევალოს შპს „საიფორმაციო ცენტრების ქსელის“ მიერ 2023 წლის 23 იანვრის № 16 განცხადებით მოთხოვნილი საჯარო ინფორმაციის გადაცემა: გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის ან/და ამავე დეპარტამენტის დასავლეთის რეგიონული სამმართველოს მიერ 17.10.2022-10.01.2023 პერიოდში საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურიდან ან/და ამავე სამსახურის იმერეთისა და რაჭა-ლეჩხუმის სამმართველოდან ზ/ა „პოზიციების გამოთხოვასთან“ დაკავშირებული ადმინისტრაციული წარმოების მასალები სრულად - ონლაინგამოცემა „მთის ამბების“ რედაქტორის - გელა მთივლიშვილის 2022 წლის 17 ოქტომბრის 332-ე წერილთან/წერილში დასმულ საკითხებთან დაკავშირებით;

6. საქართველოს გენერალურ პროკურატურას დაევალოს შპს „საინფორმაციო ცენტრების ქსელის“ მიერ 2023 წლის 23 იანვრის №14 განცხადებით მოთხოვნილი საჯარო ინფორმაციის გადაცემა: გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის ან/და ამავე დეპარტამენტის დასავლეთი რეგიონული სამმართველოს მიერ 17.10.2022- 10.01.2023 პერიოდში საქართველოს გენერალური პროკურატურიდან, დასავლეთ საქართველოს საოლქო ან/და ამავე საოლქო პროკურატურის ქვემდებარე რაიონული პროკურატურებიდან ზ/ა „პოზიციების გამოთხოვასთან“ დაკავშირებული ადმინისტრაციული წარმოების მასალები სრულად - ონლაინგამოცემა „მთის ამბების“ რედაქტორის - გელა მთივლიშვილის 2022 წლის 17 ოქტომბრის 332-ე წერილთან/წერილში დასმულ საკითხებთან დაკავშირებით.”

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატი გაეცნო სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის უფროსის 2023 წლის 10 იანვრის DES 4 23 00000009 ბრძანებას ადმინისტრაციული საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ, რომლითაც საჯარო დაწესებულებამ მედია „მთის ამბების” (შპს „საინფორმაციო ცენტრების ქსელი” - მედია საშუალება) რედაქტორს უარი უთხრა: 2015 წლიდან 2022 წლის 17 ოქტომბრამდე პერიოდში ჭიათურის მუნიციპალიტეტში (ქალაქსა და სოფლებში) ატმოსფერული ჰაერის, წყლის, მიწის/ნიადაგის დაბინძურებასთან დაკავშირებით დეპარტამენტში დაცული მასალების (ყველა შემთხვევაზე, საქმისწარმოების მასალები სრულად), მანგანუმის მოპოვების/გამდიდრების/ დამუშავების/გადაზიდვის საწარმოების, ობიექტების ან/და საშუალებების ინსპექტირების მასალების (ყველა შემთხვევაზე, საქმისწარმოების მასალები სრულად) და მითითებულ პერიოდში მოსახლეობისგან ან სხვა ფიზიკური/იურიდიული პირებისგან გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტში ჭიათურის მუნიციპალიტეტიდან/ჭიათურის მუნიციპალიტეტის შესახებ შესული წერილები/შეტყობინებები/საჩივრების გადაცემაზე. **ადმინისტრაციულმა ორგანომ აღნიშნული გადაწყვეტილების ერთ-ერთ საფუძვლად მიუთითა, რომ მთელი რიგი მასალები, სხვადასხვა დროს, გადაგზავნილი იყო საგამოძიებო უწყებებში, რომლებსაც მიზანშეუწონლად მიაჩნდათ წერილით მოთხოვნილი ინფორმაციის გაცემა. საგამოძიებო სამსახურების განმარტებით, აღნიშნული ინფორმაციის**

გაცემა გამოიწვევდა მიმდინარე გამოძიების საქმეებზე მასალების გასაჯაროებას, რაც ხელს შეუშლიდა ობიექტური გამოძიების ჩატარების გაგრძელებას.

საკითხთან კავშირში მყოფი ადამიანის უფლებების შესახებ სტანდარტები :

საჯარო ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობის უფლება საქართველოს კონსტიტუციით დაცული სიკეთეა. ყველას აქვს უფლება, ერთი მხრივ, მიიღოს და გაავრცელოს ინფორმაცია და მეორე მხრივ, გაეცნოს საჯარო დაწესებულებაში არსებულ დოკუმენტებს.[1] საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, ინფორმაციის ხელმისაწვდომობის გარეშე წარმოუდგენელია აზრის თავისუფლებისა და თავისუფალი საზოგადოებისათვის დამახასიათებელი სასიცოცხლო დისკუსიის უზრუნველყოფა.[2]

მოგეხსენებათ, კონსტიტუციით გარანტირებული საჯარო ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობის უფლების განხორციელების წესს ადგენს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი, რომლის 37-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, ყველას აქვს უფლება მოითხოვოს საჯარო ინფორმაცია მისი ფიზიკური ფორმისა და შენახვის მდგომარეობის მიუხედავად და აირჩიოს საჯარო ინფორმაციის მიღების ფორმა, თუ იგი სხვადასხვა სახით არსებობს, აგრეთვე გაეცნოს ინფორმაციას დედანში. მართალია, ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მოქმედება არ ვრცელდება აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოთა იმ საქმიანობაზე, რომელიც დაკავშირებულია დანაშაულის ჩადენის გამო პირის სისხლისსამართლებრივ დევნასთან და სისხლის სამართლის საქმის წარმოებასთან[3] თუმცა უნდა აღინიშოს, რომ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი (მუხლი 42) გარემოს შესახებ ინფორმაციას იმ კატეგორიის ინფორმაციას მიაკუთვნებს, რომლის გასაიდუმლოებაც დაუშვებელია. ვინაიდან, შპს ,,საინფორმაციო ცენტრების ქსელის“ სასარჩელო მოთხოვნა ეხება ჭიათურის მუნიციპალიტეტში გარემოს მდგომარეობის შესახებ ინფორმაციის მიღებას, საქართველოს სახალხო დამცველს სურს ყურადღება გაამახვილოს გარემოს მდგომარეობის შესახებ ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უფლების და გარემოს დაცვის სფეროში საზოგადოების მონაწილეობის მნიშვნელობაზე.

გარემოს მდგომარეობის შესახებ სრული ინფორმაციის მიღების უფლება საქართველოს კონსტიტუციით გარანტირებული უფლებაა,[4] გარემოს სფეროში ინფორმაციის ხელმისაწვდომობის პრინციპი გულისხმობს, რომ ინფორმაცია გარემოს მდგომარეობის შესახებ ღია და ხელმისაწვდომია საზოგადოებისათვის.[5] გარემოს მდგომარეობის შესახებ ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უფლება, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია გარემოს დაცვის სფეროში საზოგადოების მონაწილეობის თვალსაზრისით. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, გარემოს მდგომარეობის შესახებ შესაგროვებელი ინფორმაცია უნდა აკმაყოფილებდეს იმ შინაარსობრივ მინიმუმს, რაც აუცილებელია გარემოს დაცვის სფეროში საზოგადოების მონაწილეობის რეალიზაციისთვის.[6] სწორედ ინფორმირებულ საზოგადოებას შესწევს უნარი, მიიღოს გარემოს შესახებ გადაწყვეტილებების მიღებაში მონაწილეობა და საზოგადოებრივი კონტროლი გაუწიოს ქმედებებს, რომლებიც გავლენას ახდენს გარემოს მდგომარეობაზე.[7] გარემოსთან დაკავშირებული ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უფლება საქართველოს მიერ რატიფიცირებული ორჰუსის კონვენციის მოთხოვნაცაა.[8] ,,ნორმატიული აქტების შესახებ" საქართველოს კანონის თანახმად საერთაშორისო ხელშეკრულებასა და შეთანხმებას შესაბამისი პირობების არსებობისას შიდასახელმწიფოებრივი ნორმატიული აქტების მიმართ აქვთ უპირატესი იურიდიული ძალა.[9] ორჰუსის კონვენციით, სახელმწიფოს ეკისრება ვალდებულება, ინფორმაცია, რომელიც არ ექვემდებარება გამოქვეყნებას, გამოყოს დანარჩენი ინფორმაციისგან ისე, რომ არ დაირღვეს ამ ინფორმაციის კონფიდენციალურობა და ხელისუფლების ორგანოებმა უზრუნველყონ მოთხოვნილი ეკოლოგიური ინფორმაციის დანარჩენი ნაწილის მიწოდება.[10] ევროპარლამენტის 2006 წლის 6 სექტემბრის N 1367/2006 რეგულაციაში რომელიც ეხება ორჰუსის კონვენციის ინფორმაციის ხელმისაწვდომობის და გარემოს შესახებ გადაწყვეტილების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობასთან დაკავშირებულ დებულებებს, მითითებულია, რომ როდესაც ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის სამართლებრივი საფუძველი არსებობს, მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული ინფორმაციის ხელმისაწვომობასთან დაკავშირებული საზოგადოებრივი ინტერესი, განსაკუთრებით მაშინ თუ ეს ინფორმაცია ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვევებს ეხება. ასევე, კანონიერი საფუძვლის არსებობისას გარემოს შესახებ არსებული ინფორმაცია შეიძლება არ გაიცეს, როდესაც აღნიშნული ინფორმაციის გაცემა უარყოფითად იმოქმედებს იმ გარემოზე რომელსაც ის შეეხება.[11]

საქართველოს სახალხო დამცველი მნიშვნელოვნად მიიჩნევს გარემოს შესახებ ინფორმაციის გაცემასთან დაკავშირებით საკითხის განხილვისას, თუნდაც კანონით პირდაპირ გათვალისწინებული ინფორმაციის დახურვის შესაძლებლობის შემთხვევებში, სათანადოდ შეფასდეს ის სიკეთე რის დაცვასაც გარემოს შესახებ ინფორმაციის გაცემა ემსახურება და მაქსიმალურად შეზღუდულად იქნას გამოყენებული ინფორმაციის დახურვის შესაძლებლობა, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, საქართველოს კონსტიტუცია გარემოს შესახებ ინფორმაციას ცალსახად საზოგადოებრივი ინტერესის მატარებელ ინფორმაციად მიიჩნევს.

აქვე, გვსურს მოგაწოდოთ ინფორმაცია 2022 წელს საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის და დანიის ადამიანის უფლებათა ინსტიტუტის (The Danish Institute for Human Rights) მიერ მომზადებული კვლევის შესახებ, რომელიც შეეხებოდა საქართველოში ბოლო 10 წლის განმავლობაში განხორციელებული სხვადასხვა პროექტის მიმოხილვას, რომლებსაც შეიძლება ჰქონოდათ გავლენა ადამიანის უფლებებზე, მათი მასშტაბის ან/და საქმიანობის თავისებურებების გათვალისწინებით. კვლევაში აღინიშნა, რომ საქართელოში განხორციელებულ ყველა პროექტთან დაკავშირებით სათანადოდ არ ყოფილა უზრუნველყოფილი საზოგადოების ადრეულ ეტაპზე ინფორმირებულობისა და გადაწყვეტილებების

მიღების პროცესში მისი ჩართულობის ვალდებულება.[12] ამასთან, საქართველოს სახალხო დამცველის 2016 წლის საპარლამენტო ანგარიშში მითითებულია, ჭიათურაში საწარმოო სამუშაოების შედეგად გამოწვეული მძიმე ეკოლოგიურ პრობლემებზე, გარემოსდაცვითი ნორმებისა და სალიცენზიო პირობების დარღვევით მადნის მოპოვებით სამუშაოებზე და აღნიშნულია, რომ 2013–2015 წლებში შპს „ჯორჯიან მანგანეზის“ მიერ გარემოსათვის მიყენებული ზიანი 357 მლნ 925 ლარს აღემატებოდა.[13] ასევე, საქართველოს სახალხო დამცველმა 2022 წლის საპარლამენტო ანგარიშში ცალკე ქვეთავი დაუთმო ჭიათურის მუნიციპალიტეტში მოპოვებითი საქმიანობის შედეგად წარმოშობილ უმძიმეს გარემოსდაცვით პრობლემებს.[14]

დასკვნა:

იმ პირობებში, როდესაც ქვეყანაში მწვავე პრობლემას წარმოადგენს გარემოსდაცვითი საკითხები, კრიტიკულად მნიშვნელოვანია სასამართლომ როგორც ინფორმაციის თავისუფლების დაცვის ერთადერთმა ეფექტურმა საზედამხედველო ინსტიტუტმა, გარემოს მდგომარეობის შესახებ ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უფლების სათანადო რეალიზების მიზნებისთვის, იმსჯელოს ორჰუსის კონვენციით ქვეყნისთვის დადგენილი ვალდებულებების შესრულების და გარემოს მდგომარეობის შესახებ საგამოძიებო უწყებებში დაცული ინფორმაციის გამოცალკევების და დაინტერესებული პირისთვის გადაცემის შესაძლებლობაზე.

ამდენად, ვხელმძღვანელობ რა „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 21-ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტით, მიზანშეწონილად მიმაჩნია, მოგმართოთ წინამდებარე სასამართლოს მეგობრის მოსაზრებით.

პატივისცემით,

---

[1] საქართველოს კონსტიტუცია (786, 24/08/1994), მუხლი 17, მუხლი 18.

[2]საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2008 წლის 30 ოქტომბრის N2/3/406, 408 გადაწყვეტილება.

[3] საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი მუხლი 3, ნაწ. 4, ქვპ. ,,ა“.

[4] საქართველოს კონსტიტუცია, მუხლი 29, პ. I. 639 იქვე, მე-5 მუხ. მე-3 პ

[5] „გარემოს დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონი, მუხ. 5 პუნქ. 2, ქვეპ. „მ“.

[6] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2013 წლის 10 აპრილის №2/1/524 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე გიორგი გაჩეჩილაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-20.

[7] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2018 წლის 14 დეკემბრის №3/1/752 გადაწყვეტილება საქმეზე ა(ა)იპ „მწვანე ალტერნატივა” საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, II-34.

[8] გარემოსდაცვით საკითხებთან დაკავშირებული ინფორმაციის ხელმისაწვდომობის, გადაწყვეტილებების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობის და ამ სფეროში მართლმსაჯულების საკითხებზე ხელმისაწვდომობის შესახებ“ 1998 წლის ორჰუსის კონვენცია.

CASE OF TAŞKIN AND OTHERS v. TURKEY საქმეში სტრაზბურგის სასამართლომ აღნიშნა, რომ ორჰუსის კონვენცია მნიშვნელოვანი საერთაშორისო დოკუმენტია. სტრაზბურგის სასამართლო მიიჩნევს, რომ სახელმწიფო ვალდებულია უზრუნველყოს საზოგადოების წევრების მონაწილეობა გარემოსდაცვით საკითხებთან დაკავშირებით გადაწყვეტილების მიღების პროცესში (***TĂTAR v. ROMANIA).***

[9] მუხლი 7, პუნქ. 5.

[10] გარემოსდაცვით საკითხებთან დაკავშირებული ინფორმაციის ხელმისაწვდომობის, გადაწყვეტილებების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობის და ამ სფეროში მართლმსაჯულების საკითხებზე ხელმისაწვდომობის შესახებ“ ორჰუსის კონვენცია, მუხლი 4, პარ.6..

[11] REGULATION (EC) No 1367/2006 OF THE EUROPEAN PARLIAMENT AND OF THE COUNCIL

of 6 September 2006, მუხლი 6.

[12] იხ. ადამიანის უფლებები და განვითარების პროექტების ათწლიანი პრაქტიკა 2022113014285594326.pdf (ombudsman.ge) .ს

[13] იხ. საქართველოს სახალხო დამცველის 2016 წლის საპარლამენტო ანგარიში, გვ. 525, https://drive.google.com/file/d/11H2Ywr72aNiTwurAjO3Q8fNiqCqj1JvW/view .

[14] იხ. საქართველოს სახალხო დამცველის 2022 წლის საპარლამენტო ანგარიში, გვ. 213-227, https://www.ombudsman.ge/res/docs/2023033120380187763.pdf .

საქართველოს სახალხო დამცველი

ხელმოწერილია/
მტამპდასმულია
ელექტრონულად

ლევან იოსელიანი